მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №3
2021 წლის 28 იანვარი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, მარტვილის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5 პოზიციიდან 1 ერთეულზე მეტით გათვალისწინებულ 4 პოზიციაზე.
2. განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია